„ვამტკიცებ“

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა

და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის

დირექტორი თ ლორთქიფანიძე

ბრძანება N03-11 23.08.2014 წელი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული პროგრამა

სამთო გამყოლი

(V საფეხური)

თბილისი 2014

პროგრამის სახელწოდება	სამთო გამყოლი
პროგრამის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კომახიძე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამთო გამყოლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროგრამის სტრუქტურა	120 კრედიტი (3000 საათი), აქედან (50%) - 60 კრედიტი (1500 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (50%) - 60 კრედიტი (1500 საათი) - პრაქტიკას. კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას). ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
პროგრამის ხანგრძლივობა	76 კვირა
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების შესაძლებლობა	2014 წლის 30 ივნისი. განახლებადია ყოველწლიურად
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამთო გამყოლი მაშველის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სამთო გამყოლის 020559 პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. სტუდენტს მისცეს სამთო გამყოლი მაშველისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, კერძოდ შეასწავლოს: ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია, გადაუდებელი პირველადი დახმარება, ფსიქოლოგია, ტაქტიკურ-სპეციალური მომზადება (კავშირი, ტოპოგრაფია), სპეციალურ ტექნიკურ მომზადებას (სამაშველო აღჭურვილობა), სასიმაღლო ასვლების მომზადება, საერთო ფიზიკური მომზადება.

	• მოამზადოს პრაქტიკოს-სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე შრომის ბაზრის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილებას პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. • მისცეს შესაბამისი კურსის ცოდნა და უნარები უცხო ენაში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში • ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ზოგადსაბაზისო კომპეტენციების სისტემა შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე გასაგრძელებლად.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, სრული ზოგადი განათლების საფეხური.
დამატებითი მოთხოვნები	სამთო გამყოლის მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სამთო სპორტის სახეობებში პროფესიული უნარები, პრაქტიკა და გამოცდილება.
სწავლის შედეგი	**ცოდნა და გაცნობიერება** სამთო გამყოლი მაშველის პროფესუილი კვალიფიკაციის მფლობელმა იცის: • ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის საფუძვლები. • ურთიერთობის ფსიქოლოგია. • პირველადი სამედეცინო დახმარება • ტაქტიკურ-სპეციალური მომზადება (კავშირი, ტოპოგრაფია), • სპეციალური ტექნიკური მომზადება (სამაშველო აღჭურვილობა), • სასიმაღლო ასვლების მომზადება, • დაშავებულების ტრანსპორტირების ფორმები(საშუალებების გამოყენება) • სამაშველო ჯგუფების სპეციალური ალპინისტური ინვენტარის სპეციალური კავშირის სანავიგაციო (რაციები, ჯიპიესები, რაკეტები და სხვა) და მათი ტაქტიკუტ-ტექნიკური მახასიათებლები • სამაშველო სამუშაოების ჩატარებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის სფეროში ძირითადი ცნებები • სამაშველო სამუშაოების ზონაში დაშავებულის ტრანსპორტირების მარშრუტის დაგეგმვა • სამთო სამაშველო ჯგუფების შემადგენლობები და მასში შემავალი მაშველების მოვალეობები • საძიებო და სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს ამინდის ცვალებადობის თავისებურებანი (სეტყვა, მეხი,ქარბუქი და საზვავე ფერდობები) • სამაშველო და საძიებო სამუშაოების დროს თოკებზე მუშაობის თავისებურებანი(თოკებით

	მოძრაობების, ჩაბმების შესწავლა და გამოყენება, კვანძების შესწავლა) • მყინვარზე,დახურულ და ღია ნაპრალებზე გავლის წესები • მაშველის აღჭურვილობა და ჩაცმულობის თავისებურებები • მთის მდინარეების სახეობები, ტყის რელიეფის და ნადირების ნაკვალევის შესწავლა • აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნორმებს • ფლობს სხვადასხვა ქვეყნებში მომხდარი შემთხვევების მაგალითებს, მეთოდიკასა და პრაქტიკულ უნარებს • აქვს საქმიანობის წარმართვისათვის არსებითი ცოდნა და პრაქტიკაში რეალიზაციის უნარი • იცის და გაცნობიერებული აქვს სათავგადასავლო სამთო ტურიზმის სფეროსთვის დამახასიათებელი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები • კარგად იცნობს ტურისტული მარშრუტების სირთულეების კატეგორიებს • შეუძლია თვითდაცვისა და ჯგუფური დაცვის მოწყობა • იცნობს საქართველოში არსებულ საფრთხეებს (ცხოველები, ქვეწარმავლები, მწერები, ალერგიული მცენარეები, კრიმინალური სიტუაცია, ეპიდემია, საკვები ტრანსპორტის მოძრაობა და სხვ.) • იცის საქართველოს ისტორია, კულტურისა და ეთნოგრაფიის საკითხები • აქვს გეოლოგიის და გეოგრაფიის საბაზისო ცოდნა • იცნობს საქართველოს სათხილამურო და სამთო რეკრეაციულ ზონებს • იცის უცხო ენა (მინიმუმ B2 დონე) **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** • პირველადი დახმარების აღმოჩენა; • შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება • აქვს მოსალოდნელი საფრთხეების განჭვრეტის უნარი და დაშავებულის ტრანსპორტირებისათვის საჭირო სამაშველო სამუშაოების სწორი დაგეგმვა და წარმართვა • ექსტრემალურ სიტუაციებში იღებს სწორ გადაწყვეტილებას • ხედავს მარშუტის სხვადასხვა ვარიანტებს და შესაბამისად ამინდის მიხედვით ირჩევს დაშავებულის ტრანსპორტირების ვარიანტს • ურთულეს ექსტრემალურ მდგომარეობიდან გამომდინარე ითხოვს დაშავებულის სწრაფ ტრანსპორტირებას. იძახებს ავიაციას- შეუძლია ვერტმფრენის დასაჯდომი ადგილის მოწყობა და

	ხელმძღვანელობს ვერტმფრენის უსაფრთხოდ ტრანსპორტირებას. ამზადებს დაზარალებულს ტრანსპორტირებისათვის • შეუძლია უსაფრთხოდ ღამის სათევის მოწყობა და კვების ორგანიზება. • ტყიან ზოლში და ბალახოვანი ფერდობების მისადგომებთან ცეცხლის სანთების მოწყობა და ღამის თევის შემდეგ მისი უსაფრთხო დატოვების წესები • ხანძრის შემთხვევის მომენტიდან უსაფრთხოება და შესაბამის ორგანოებთან შეტყობინების აუცილებლობა • აქვს უნარი სათანადოდ შეაფასოს ბუნებრივი პირობები, ჯგუფის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას , ჯგუფის საევაკუაციოდ მომზადების სამუშაოებს • მოსალოდნელი საშიშროებიდან გამომდინარე, შეუძლია გზის შერჩევა • აანალიზებს სამთო რელიეფებზე გადაადგილების ტექნიკას და აქვს შეცდომების დანახვისა და მათი შესწორების უნარი • პასუხისმგებლობის ფარგლებში ითვალისწინებს ტურისტთა მოთხოვნებს • კონკრეტულ მარშრუტებზე ინფორმაციის სიმცირის დროს იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას • გაიღრმავოს პროფესიული სფეროს შესაბამისი ცოდნა **დასკვნის უნარი** • შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა , მათი შეფასება და ანალიზი • შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეუძლია საკუთარ საქმიანობაზე დაკვირვება და გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად რეალური დასკვნების გამოტანა • შეუძლია სახიფათო სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების შეფასება და ანალიზი, მათ გადასაჭრელად სხვადასხვა ტექნიკურ-მეთოდური საშუალებებით სარგებლობა • პრობლემურ, ფორსმაჟორულ და განსხვავებულ სიტუაციაში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად შეუძლია მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება და ეფექტური გადაწყვეტილების სწრაფად მიღება • რთული და არასტანდარტული დავალებების შესასრულებლად შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება • ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების შედეგად შეუძლია დავალების შესასრულებლად

	შესაფერისი მიდგომის შემუშავება • ექსტრემალურ, კონფლიქტურ, სტრესულ და სახიფათო სიტუაციებში აქვს თავდაჭერისა და ადექვატური ქმედების უნარი • სამუშაოსათვის დამახასიათებელ ელემენტებსა და მომსახურების განსაზღვრულ ვალდებულებებს თანმიმდევრულად ასრულებს და ახერხებს სამუშაოს კოორდინაციას **კომუნიკაციის უნარი** შეუძლია: • უცხოურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება; • შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში. • შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე. • აქვს უნარი, სხვადასხვა სიტუაციების გამოცდილების გათვალისწინებით შეაფასოს და განსაზღვროს ვითარება ან იპოვოს გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან • სამთო ტურისთვის ამზადებს სათანადო ტექსტს, ასევე ტურისტული ჯგუფებისათვის მოიძიებს ძირითადად ან დამატებით ინფორმაციას • ამომწურავად და საინეტეროდ გადასცემს და შესაბამისად განმარტავს ინფორმაციას დაგეგმილი მარშრუტების შესახებ • შეუძლია გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება **სწავლის უნარი** ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია: • ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე; • მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას; • განსაზღვრავს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საჭიროებასა და თანმიმდევრულ ეტაპებს; • შეუძლია წინსვლის მიზნით საკუთარი სწავლის დაგეგმვა , ინფორმაციის მუდმივი განახლება, ცოდნის გაღრმავება.

	ღირებულებები • აფასებს თავის და სამაშველო ჯგუფში შემომავალი წევრების დამოკიდებულებას, გუნდურობის პრინციპებს პროფესიული საქმიანობისადმი და უზიარებს სხვებს; • არის თავაზიანი და ყურადღებიანი; • ახასიათებს ორგანიზებულობა, პუნქტუალურობა და მოწესრიგებულობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა კოლეგებთან,საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა; • არის ტოლერანტული, მომთმენი და ემოციურად სტაბილური.ახასიათებს შემოქმედიანობა • აქვს საკუთარი ქვეყნის კანონიერებისა და ტრადიციების პატივისცემა, ეკოლოგიური ცნობიერება; • იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს; • პასუხისმგებელია ტურისტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე,აცნობიერებს, რომ ჯგუფის სამაშველო სამუშაოების დროს ყველა ტურისტს აქვს მისი იმედი და მაშველის ყველა დავალებას ასრულებენ უსიტყვოდ; • პასუხისმგებლობით ეკიდება დისციპლინური ნორმების დაცვას, მოქმედებს ამ ნორმების დაცვით; • ხელს უწყობს ნორმალური სამუშაო გარემოს შექმნას; • აქვს საკუთარი ქვეყნის კანონებისა და ტრადიციების პატივისცემა, ეკოლოგიური ცნობიერება; • პასუხისმგებელია ტურისტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, აცნობიერებს რომ ჯგუფის მოქმედებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების უფლება აქვს მხოლოდ სამთო გამყოლი მაშველს.
სწავლების ფორმატი	• ლექცია/სემინარი; • პრაქტიკული მეცადინეობა. • სამუშაო ჯგუფშიმუშაობა/პრაქტიკული მუშაობა; • პრაქტიკა;
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	გამოყენებულია სწავლა/ სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის: *<u>სამუშაო ჯგუფში</u>* პრაქტიკული მეცადინეობა - პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარჩვევებს. შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტი ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არანაკლებ ეფექტური მეთოდები.

	ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლების პროცესში. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეცადინეობები: *როლური და სიტუაციური თამაშები* - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებულებას, გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. *დემონსტრირების მეთოდი* - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/ პრობლემის არსს. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს კურსის განმახორციელებლისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გადაცემა. ლექცია შეიძლება ჩატარდეს განსხვავებული მეთოდებით, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექცია, ლექცია პრესკონფერენცია, მოწვეული სტუმარი, ინფორმაციული ლექცია და ა.შ. პრეზენტაციის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები დეტალურად გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას; ➢ (**A**) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ➢ (**B**) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; ➢ (**C**) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; ➢ (**D**) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; ➢ (**E**) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; ორი სახის უარყოფით შეფასებას: ➢ (**FX**) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ➢ (**F**) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს: ა) შუალედურ შეფასებას; ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ. პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (პრაქტიკის შემთხვევაში). პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე

	უარყოფითი შეფასების (**FX**) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში. პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

№	სასწავლო კურსები/მოდულები/კურსები	სწავლის შედეგები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ადამიანის ანატომიის საფუძვლები	x	x	x	X	x	x
2	საქართველოს ისტორია	X	X	X	X	X	X
3	საქართველოს გეოგრაფია	X	X	X		X	
4	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	X	X		X	X	X

5	პირველადი გადაუდებელი დახმარება	X	X			X	X
6	სპეციალური ტექნიკური მომზადება (სამაშველო აღჭურვილობა)	X	X		X		X
7	გამოყენებითი ცურვა	X	X			X	
8	ტანვარჯიში	X	X			X	X
9	გამოყენებითი მძლეოსნობა	X	X			X	X
10	ინგლისური ენა	X	X		X	X	
11	ინფორმაციული ტექნოლოგიები	X	X				X
12	ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები (ზოგადი, სპორტული)	X	X	X	X	X	X
13	ტაქტიკურ-სპეციალური მომზადება (ტოპოგრაფია, კარტოგრაფია)	X	X	X			
14	ალპინიზმი და მეკლდეურობა	X	X	X			
15	სამძებრო-სამაშველო მომზადება ბუნებრივ პირობებში	X	X	X	X	X	X
16	სამთო ტურიზმი	X	X		X		
17	რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვა		X	X	X	X	X
18	ალპინიზმი და მეკლდეურობა		X	X	X	X	X
19	სამძებრო-სამაშველო მომზადება ბუნებრივ პირობებში	X	X	X	X	X	X
20	სამთო ტურიზმი	X	X	X	X	X	X
21	თხილამურები	X	X	X	X	X	X
22	ალპინიზმი და მეკლდეურობა	X	X	X	X	X	X
23	სამთო გამყოლის პრაქტიკა	X	X	X	X	X	X

სასწავლო გეგმა

I სემესტრი

№	საგნის დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა					სულ
			ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური შეფასება	დასკვნითი გამოცდა	დამოუკე. საათები	
1	ადამიანის ანატომიის საფუძვლები-1	**2**	5	23	2	2	18	**50**
2	საქართველოს ისტორია-1	**2**	5	23	2	2	18	**50**
3	საქართველოს გეოგრაფია-1	**2**	5	23	2	2	18	**50**
4	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია-1	**2**	5	23	2	2	18	**50**
5	პირველადი გადაუდებელი დახმარება-1	**3**	8	50	2	2	13	**75**
6	სპეციალური ტექნიკური მომზადება (სამაშველო აღჭურვილობა)-1	**4**	10	63	2	2	23	**100**
7	გამოყენებითი ცურვა	**3**	5	53	2	2	13	**75**
8	ტანვარჯიში	**3**	5	53	2	2	13	**75**
9	გამოყენებითი მძლეოსნობა	**3**	5	53	2	2	13	**75**
10	უცხო მენა (ინგლისური ენა)	**3**	5	53	2	2	13	**75**
11	ინფორმაციული ტექნოლოგიები	**3**	-	44	1	2	28	**75**
	სულ	**30**	*58*	*461*	*21*	*22*	*188*	**750**

II სემესტრი

№	საგნის დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა					სულ
			ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური შეფასება	დასკვნითი გამოცდა	დამოუკე. საათები	
1	ადამიანის ანატომიის საფუძვლები-2	**2**	5	23	2	2	18	**50**
2	ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები (ზოგადი, სპორტული)-1	**2**	5	23	2	2	18	**50**
3	საქართველოს ისტორია-2	**2**	5	23	2	2	18	**50**
4	საქართველოს გეოგრაფია-2	**2**	5	23	2	2	18	**50**
5	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია-2	**2**	5	23	2	2	18	**50**
6	პირველადი გადაუდებელი დახმარება-2	**2**	6	22	2	2	18	**50**
7	სპეციალური ტექნიკური მომზადება (სამაშველო აღჭურვილობა)-2	**4**	10	63	2	2	23	**100**
8	ტექნიკურ-სპეციალური მომზადება (ტოპოგრაფია,	**2**	6	22	2	2	18	**50**

	კარტოგრაფია)-1							
9	ალპინიზმი და მეკლდეურობა-1	4	10	63	2	2	23	100
10	სამძებრო-სამაშველო მომზადება ბუნებრივ პირობებში-1	4	10	63	2	2	23	100
11	სამთო ტურიზმი-1	2	6	22	2	2	18	50
12	თხილამურები-1	2	6	22	2	2	18	50
	სულ	30	*79*	*392*	*24*	*24*	*231*	750

III სემესტრი

№	საგნის დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა					სულ
			ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური შეფასება	დასკვნითი გამოცდა	დამოუკე. საათები	
1	ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები (ზოგადი, სპორტული)-2	2	5	23	2	2	18	50
2	სპეციალური ტექნიკური მომზადება (სამაშველო აღჭურვილობა)-3	5	10	63	2	2	48	125
3	ტექნიკურ-სპეციალური მომზადება (ტოპოგრაფია, კარტოგრაფია)-2	3	8	50	2	2	13	75
4	რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვა-1	2	5	23	2	2	18	50
5	ალპინიზმი და მეკლდეურობა-2	5	10	63	2	2	48	125
6	სამძებრო-სამაშველო მომზადება ბუნებრივ პირობებში-2	5	10	63	2	2	48	125
7	სამთო ტურიზმი-2	4	10	63	2	2	23	100
8	თხილამურები-2	4	10	63	2	2	23	100
	სულ	30	*68*	*469*	*16*	*16*	*239*	750

IV სემესტრი

№	საგნის დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა					სულ
			ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური შეფასება	დასკვნითი გამოცდა	დამოუკე. საათები	
1	რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვა-2	2	5	23	2	2	18	50
2	ალპინიზმი და მეკლდეურობა-3	4	10	63	2	2	23	100
3	სამძებრო-სამაშველო მომზადება ბუნებრივ პირობებში-3	4	10	63	2	2	23	100
4	სამთო გამყოლის პრაქტიკა	20	-	208	-	2	290	500
	სულ	30	*25*	*357*	*6*	*8*	*354*	750

დასაქმების სფერო	სამთო მაშველის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო მუნიციპალურ და საქართველოს საგანგებო-სამაშველო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სტრუქტურულ დანაყოფებში, საგანგებო - სამაშველო სამსახურებში, რომლებსაც საგანგებო ვითარების დროს პროფესიონალი გამყოლები სჭირდებათ. ტურისტულ ორგანიზაციებში, პანსიონატებსა და სანატორიუმებში. სამთო გამყოლი შესაძლოა მუშაობდეს როგორც კერძო პირი, ინდივიდუალური ან ჯგუფური დაკვეთის შესაბამისად გაფორმებული სამუშაო ხელშეკრულების მიხედვით.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები	პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროგრამის კატალოგი, რომელიც მოცემულია დაწესებულების ვებგვერძე. ამავე მიზნით სტუდენტებს სწავლის დაწყებისთანავე ეძლევათ პროგრამის კატალოგი, სილაბუსები,მეცადინეობის ცხრილები, სადაც მოცემულია მათთვის აუცილებელი ინფორმაცია. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი საინფორმაციო- ტექნოლოგიური და საბიბლიოთეკო რესურსით. პროგრამის შესაბამისდად არსებობს სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები სხვა ტექნიკური ბაზა, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის. საწარმო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება: 1. ალპინიზმის ეროვნული ფედერაცია. ავთო ცინცაძე. 599 55 34 80

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

კურსის დასახელება	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ადამიანის ანატომიის საფუძვლები	მარიამ ბალაშვილი	ასისტენტ პროფესორი
საქართველოს ისტორია	ნუგზარ ერაძე	მასწავლებელი
საქართველოს გეოგრაფია	მერაბ მეტრეველი	მასწავლებელი
ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	ნანა ხაზალია	ასოცირებული პროფესორი
პირველადი გადაუდებელი დახმარება	ელგუჯა ადამია	მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
სპეციალური ტექნიკური მომზადება (სამაშველო აღჭურვილობა)	თემურ კომახიძე	სპორტის დამსახურებული მოღვაწე
გამოყენებითი ცურვა	ირაკლი ქორჩილავა ვლადიმერ პარაფილოვი	მასწავლებელი მასწავლებელი
ტანვარჯიში	მანანა მნათობიშვილი	პროფესორი
გამოყენებითი მძლეოსნობა	მერაბ მაისურაძე ნელი გრიგალაშვილი	სპორტის დამსახურებული მოღვაწე სპროტის დამსახურებული მოღვაწე

ინგლისური ენა	ლალი ლობჟანიძე ეკატერინე ზუხბაია	მასწავლებელი მასწავლებელი
ინფორმაციული ტექნოლოგიები	ვლადიმერ ჯიოევი ირაკლი ბეჟაშვილი	მასწავლებელი ასისტენტ- ტექნიკოსი
ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები (ზოგადი, სპორტული)	მარიამ ბალაშვილი	ასისტენტ პროფესორი
ტაქტიკურ-სპეციალური მომზადება (ტოპოგრაფია, კარტოგრაფია)	როინ გრძელიშვილი	მასწავლებელი
ალპინიზმი და მეკლდეურობა	თემურ კომახიძე	სპროტის დამსახურებული მოღვაწე
სამძებრო-სამაშველო მომზადება ბუნებრივ პირობებში	თემურ კომახიძე	სპროტის დამსახურებული მოღვაწე
სამთო ტურიზმი	ნიკოლოზ ბუძიშვილი	ასოცირებული პროფესორი
რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვა	მარინა ნიკოლაიშვილი	პროფესორი
ალპინიზმი და მეკლდეურობა	თემურ კომახიძე	სპროტის დამსახურებული მოღვაწე
სამძებრო-სამაშველო მომზადება ბუნებრივ პირობებში	თემურ კომახიძე	სპროტის დამსახურებული მოღვაწე
თხილამურები	ნიკოლოზ ბუძიშვილი	ასოცირებული პროფესორი

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: სამთო გამყოლის მეხუთე საფეხურის პროგრამა ერთსაფეხურიანია.